განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა შენობის სისტემების ინჟინერიაში თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2019 წლის 25 ოქტომბერი,

ანგარიშის წარდგენის თარიღი

თბილისი,
2019 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი შპს
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	211359448
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	შენობის სისტემების ინჟინერია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია მისი კოდის მითითებით	ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობის ინჟინერიასა და მენეჯმენტში, 0788
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	242
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	როდ ლიას ტალინის ტექნოლოგიის უნივერსიტეტი; ესტონეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვახტანგ ბალავაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნანა იაშვილი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანჟელა აბულაძე სტუდენტთა წარმომადგენელი; საქართველო

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  შენობის სისტემების ინჟინერია (BSE) არის ახალი საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ინიცირებულია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ და შედგება 242 კრედიტისგან. მოცემულ მომენტში, ის განიხილება ინტერდისციპლინურ პროგრამად, რომელიც სტუდენტებს ანიჭებს ინჟინერიის ბაკალავრის კვალიფიკაციას მშენებლობის ინჟინერიასა და მენეჯმენტში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

  თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 25 ოქტომბერს. ამ ვიზიტის განმავლობაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა:

  - უნივერსიტეტის ადმინისტრაციას
  - თვითშეფასების ანგარიშის მწარმოებელი გუნდის წევრებს
  - პროგრამის დირექტორსა და აკადემიურ პერსონალს
  - სხვა პროგრამების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს
  - შენობის სისტემების ინჟინერიის (BSE) კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებლების წარმომადგენლებს

  ექსპერტებისთვის სასიამოვნო იყო უნივერსიტეტის შენობაშივიზიტი. ჯგუფმა მოინახულა სხვადასხვა ლაბორატორიები, საკლასო ოთახები და ბიბლიოთეკა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  ზოგადად, შენობის სისტემების ინჟინერიის (BSE) ახალი პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის შესაბამის სტანდარტებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. კერძოდ:

  - პირველ სტანდარტთან დაკავშირებით (საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან), პროგრამა მეტწილად შეესაბამება სტანდარტების მოთხოვნებს.
  - დანარჩენ ოთხ სტანდარტს რაც შეეხება, პროგრამა სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

  თვითშეფასების ანგარიშის, აკრედიტაციის ვიზიტისა და თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში ჩატარებული ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

  1.2 და 2.2 კომპონენტების შესახებ:

  - o შედეგები მკაფიოდ უნდა ერგებოდეს შენობის სისტემების ინჟინერიის (BSE) პროგრამის სწავლის მიზნებს: ეს საქმეს გაუმარტივებს აბიტურიენტებს, რომ განსაზღვრონ მათი სწავლის შესაძლებლობები, დამსაქმებლებს კი - შეარჩიონ კარგი კადრი პროგრამის კურსდამთავრებულებს შორის.
  - o აკრედიტაციის ექსპერტების ჯგუფი თვლის, რომ BSE არის საინჟინრო პროგრამა და პრიორიტეტულია, რომ მისი შედეგები შეესაბამებოდეს

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (NQF) მოთხოვნებს; ინჟინერიისა და ტექნოლოგიის აკრედიტაციის საბჭოს (ABET) მოთხოვნების გათვალისწინება, კიდევ უფრო მეტ ღირებულებას შესძენს ამ სასწავლო პროგრამას.

2.3 კომპონენტის შესახებ:

- ამ კურსებისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს სასწავლო მასალების ქართულ ენაზე მიწოდება, რადგან სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი სამუშაოს მოცულობა შედარებით დიდია.

- **რჩევების რეზიუმე**

თვითშეფასების ანგარიშის, აკრედიტაციის ვიზიტისა და თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში ჩატარებული ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე, სააკრედიტაციო ექსპერტების ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

1.1 კომპონენტის შესახებ:

- სილაბუსები უფრო მეტად უნდა იყოს მორგებული შენობის სისტემების ინჟინერიის სფეროში არსებულ ცოდნაზე.

1.2 კომპონენტის შესახებ:

- სწავლის შედეგები საზოგადოებისთვის უნდა იყოს ნათელი და მიმზიდველი, რომ უზრუნველყოს პროგრამის წარმატება.

3.1 კომპონენტის შესახებ:

- სტუდენტების საერთაშორისო მობილობის უფრო მეტად ხელშეწყობა. 4.3

კომპონენტის შესახებ:

- შენობის სისტემების ინჟინერიის (BSE) სწავლების სპეციფიკური ხასიათის გამო,საჭიროა სპეციალიზებული ლაბორატორიები და სტენდები,აკადემიური სწავლების ხელშეწყობისთვის. ეს შექმნის თანამშრომლობის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იმ კომპანიებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სისტემებს ბაზარზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)** არ

  არის მითითებული

- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  არ არის მითითებული

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის საგანმანათლებლო მიზნები შემდეგია: • მოამზადოს მოთხოვნადი და წარმატებული კურსდამთავრებულები შენობის სისტემების ინჟინერიის სფეროში. • მისცეს კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა, რომ სწავლის პერიოდში მიღებული კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები გამოიყენონ პროფესიონალურ საქმიანობაში; გამოუმუშავოს მათ ცვალებად გარემოსთან ადაპტირების უნარი, რათა ინოვაციური ინტერდისციპლინური ცოდნა გამოიყენონ კარიერული წინსვლისთვის. • სტუდენტს მისცეს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა უმაღლესი განათლების უფრო მაღალ საფეხურზე ინჟინერიის სფეროში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ; მოამზადოს ისინი ისე, რომ შეძლონ უახლესი ცოდნის მიღება და განახლება არჩეულ დარგში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. პროგრამა მოიცავს 242 კრედიტს, რომელთა სტრუქტურა აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს. ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ საქართველოში დიდი მოთხოვნაა იმ სპეციალობებზე, რომლებიც დაკავშირებულია შენობის სისტემების ინჟინერიასთან, როგორიცაა ელექტროენერგიის, გათბობის, ვენტილაციის, კონდიცირების, კანალიზაციის და ამჟამად მოქმედი სხვა სისტემების. პროგრამის მიზნების ჩამონათვალი თვალნათლივ აჩვენებს წინააღმდეგობაას - პირველ რიგში, ხაზგასმულია, რომ იგი უზრუნველყოფს „ინოვაციური ინტერდისციპლინური ცოდნის მიღებას“, მაგრამ იქვე აღნიშნულია, რომ პროგრამა „ინჟინერიის სფეროს“ ეხება. პროგრამა მოიცავს ინჟინერიის საფუძვლების ფართო სპექტრს, მაგრამ ასევე მოიცავს კურსებს მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში. ამჟამად, BSE-ს პროგრამა ახალია სხვა სასწავლო პროგრამებთან შედარებით. ახალი პროფილის პროგრამების და კურსების შინაარსის შემუშავებისას მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს სპეციალიზაციაზე. პროგრამა შეიცავს კურსს ,,ეკონომიკის საფუძვლები", მაგრამ დამსაქმებლებმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს ,,ინჟინერიის ეკონომიკის" სწავლების აუცილებლობას. ზოგადი ფიზიკა მნიშვნელოვანია ინჟინრებისთვის, მაგრამ შენობის სისტემების ინჟინერს სჭირდება ,,მშენებლობის ფიზიკა". პირველ სემესტრში ,,ინგლისური ენის" სწავლება გააუმჯობესებს სტუდენტების ენის ფლობის კომპეტენციას, მაგრამ ენის შესწავლა უნდა შეესატყვისებოდეს ამ პროფესიას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამომავლო სწავლისპროცესისთვის, რადგან ძირითადი სახელმძღვანელოები ინგლისურ ენაზე იქნება მოწოდებული, ლექციები კი ქართულად

ჩატარდება.
ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამა უფრო მეტად ინჟინრულია, ხოლო ინტერდისციპლინარული ელემენტი შემოტანილია არქიტექტურის სტუდენტებთან ერთობლივი პროექტებით.
ზოგადად - ახალი პროგრამა სრულად შეესაბამება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის დევიზს: ,,ცოდნა. შრომა. თავისუფლება."

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- სილაბუსები უფრო მეტად უნდა იყოს მორგებული შენობის სისტემების ინჟინერიის სფეროში არსებულ ცოდნაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

არ არის მითითებული

შეფასება

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

BSE პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოთვლილია 11 (თერთმეტი) ასპექტის გამოყენებით, რომელთა თანახმადაც, კურსდამთავრებულებმა მიიღეს ,,ფართო ცოდნა", ან მათ ,,უნდა შეეძლოთ". ეს სია საკმაოდ ბუნდოვანია, მაგრამ ყველა შედეგი არაა გაზომვადი. შედეგების (11) საერთო სიიდან სამი (3) მათგანი უკავშირდება ზოგადი განათლებისა და ეთიკის ფართო ცოდნას; ექვს (6) შემთხვევაში ხაზგასმულია ინჟინერიის სხვადასხვა შედეგი, ხოლო მენეჯმენტი, გადაწყვეტილების მიღებისა და კომუნიკაციის უნარები ხაზგასმულია ხუთ (5) შედეგში *(მაგ: შეეძლება გუნდში თანამშომლობასა და ჩართულობაზე დამყარებული ეფექტური მოქმედება და პროცესების მართვა).* თუმცა სასწავლო პროგრამაში ნაკლებადაა მენეჯმენტთან დაკავშირებული საგნები. შესაბამისად, ამჟამად შედეგების ჩამონათვალი საკმაოდ ქაოტურია და შეესაბამება აკრედიტაციისთვის წარმოდგენილ პროგრამასა და მის სილაბუსებს. შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს კიდეც ინჟინერიისა და ტექნოლოგიების აკრედიტაციის საბჭოს (ABET) კრიტერიუმებს, მაგრამ არ აკმაყოფილებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (NQF) მოთხოვნებს (რაც განსაზღვრულია აკრედიტაციის სტანდარტებით). ამავე დროს, შედეგებს შორის საერთოდ არ არის აღნიშნული შენობის სისტემებთან დაკავშირებული ის კომპეტენციები, რომლებზეც აღნიშნული პროგრამაა ორიენტირებული.

აქ ასევე ჩნდება ძირითადი წინააღმდეგობა პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებსა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (NQF) მოთხოვნებს შორის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შინაარსისა და ექსპერტების მოსაზრების მიხედვით პროგრამა არის საინჟინრო და არა ინტერდისციპლინური. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ,,ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობის ინჟინერიასა და მენეჯმენტში", არ ასახავს პროგრამის შინაარსსა და მიზნებს. პროგრამაში არ ხდება მენეჯმენტის, კერძოდ კი, მშენებლობის მენეჯმენტის სწავლება და მშენებლობის/სტრუქტურული ინჟინერიის წილიც საკმაოდ მცირეა.

მშენებლობის მენეჯმენტის უნარები, როგორც წესი, მოითხოვს ისეთ პასუხისმგებლობებს, რაც დაკავშირებულია უშუალოდ ადგილზე ყოფნასთან, ეს მოიცავს მაგალითად ბიუჯეტისა და თანამშრომლების მენეჯმენტს, არქიტექტორებთან, სამოქალაქო ინჟინრებთან და კონსულტანტებთან ურთიერთობას, მფლობელებისა და კლიენტებისთვის რჩევების მიცემას და ასევე ქვეკონტრაქტორების დაქირავებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- შედეგები მკაფიოდ უნდა იყოს მორგებული შენობის სისტემების ინჟინერიის (BSE) პროგრამის სწავლის მიზნებს: ეს საქმეს გაუმარტივებს აბიტურიენტებს, რომ განსაზღვრონ პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობები, დამსაქმებლებს კი - შეარჩიონ კარგი კადრი პროგრამის კურსდამთავრებულებს შორის.
- აკრედიტაციის ექსპერტების ჯგუფი თვლის, რომ BSE არის საინჟინრო პროგრამა და პრიორიტეტულია, რომ მისი შედეგები შეესაბამებოდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (NQF) მოთხოვნებს; ინჟინერიისა და ტექნოლოგიისააკრედიტაციის საბჭოს (ABET) მოთხოვნების გათვალისწინება, კიდევ უფრო მეტ ღირებულებას შესძენს სასწავლო პროგრამას.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: • სწავლის შედეგები საზოგადოებისთვის უნდა იყოს ნათელი და მიმზიდველი, პროგრამის წარმატების უზრუნველსაყოფად.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **Xნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე - ,,შენობის სისტემების ინჟინერია" (BSE) მიღება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის დებულებით.
საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ექვემდებარება კანონმდებლობას, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტს/დიპლომს, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, აქვს უფლება ისწავლოს ბაკალავრიატზე, საქართველოს თავისუფალ უნივერსიტეტში.
აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება ალტერნატიულადაც ხდება, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესებისა და ვადების შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების ეს პირობები და სხვა შესაბამისი ინფორმაცია არის საჯარო, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი, რადგან ისინი ყოველწლიურად ქვეყნდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე და ცნობარში. პროგრამაზე დაშვების ზემოთ აღნიშნული პირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. უფრო მეტიც, მიზნები დაზუსტებულია და ლექციებისმიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ყველა დაინტერესებულ პირს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (მიღების მოთხოვნები)
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას.

რეკომენდაციები:
არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

არ არის მითითებული

შეფასება

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში არსებული პროგრამის დაგეგმვის, შედგენისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: (50 კრედიტი - საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება, 2 კრედიტი ინჟინერიის ზოგადი საგანმანათლებლო კურსები) ძირითადი: (112 კრედიტი ინტეგრირებული სისტემების მიმართულებით, 50 კრედიტი საბაზისო განათლება ინჟინერიაში, 9 კრედიტი პრაქტიკული კურსები და არჩევითი კურსები - 19 კრედიტი).

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას, მაგრამ გვაქვს შენიშვნები კვალიფიკაციასთან, რაც უნდა მიანიჭოს აღნიშნულმა პროგრამამ. „შენობის სისტემების ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამა, მისი შინაარსიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე უფრო შეესაბამება კვალიფიკაციას „ინჟინერიის ბაკალავრი შენობის სისტემების ინჟინერიაში“ ვიდრე „ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობის ინჟინერიასა და მენეჯმენტში“.

პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნული საკითხი პერსონალს ძალიან კარგად აქვს გაცნობიერებული. მათი თქმით, ეს გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ კვალიფიკაციათა ჩარჩოში ჯერ-ჯერობით ასეთი კვალიფიკაცია არ არის. შესაბამისად, როდესაც ჯგუფი მუშაობდა პროგრამის დაგეგმვასა და შექმნაზე, მათ გადაწყვიტეს, შეერჩიათ ისეთი კვალიფიკაცია, რაც შედარებით ახლოს იდგა პროგრამის შინაარსთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროგრამის წარმომადგენლები ინტენსიურად აწარმოებენ კონსულტაციებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ამ კვალიფიკაციის დამატების კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- სემესტრის გეგმა/განრიგი

რეკომენდაციები:

- იგივეა, რაც წინამდებარე ანგარიშის 1.2 ქვეპუნქტში.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

არ არის მითითებული

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

Xმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.3 კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

  სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების ამ საფეხურს.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ მათი მიზანი, სწავლის შედეგები და სწავლების მეთოდები შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურის მოდელი ლოგიკური და თანმიმდევრულია, რადგან ძირითადი სასწავლო კურსები ერთმანეთისგან გამომდინარეობს; მათი შინაარსი სათანადოა და აქცენტირებულია დარგობრივი კომპეტენციებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარებაზე.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო შედეგებს, რომლებიც ორიენტირებულია კურსდამთავრებულებისთვის დარგის კომპეტენციების შემუშავებაზე და მოიცავს ცოდნას, უნარებსა და ფასეულობებს. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების მიღწევის შესაძლებლობა თითოეული სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებულია საჭირო კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას.

კურსების სილაბუსების სტრუქტურა კარგად შედგენილი და სტუდენტზე ორიენტირებულია, რადგან მოცემულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მაგალითად კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა (სწავლების საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები), კურსის ხელმძღვანელი, მიზანი, ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლება-სწავლის მეთოდები, კურსის შინაარსი, ტრენინგი და სხვა რესურსები. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, სასწავლო კურსის კოდი არ არის აღნიშნული სილაბუსებში.

რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 და 7 კრედიტს, რომელთა განაწილებაც ხდება კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით. საკონტაქტო საათები გადანაწილებულია ლოგიკურად, რაც ნიშნავს, რომ ისინი უფრო მეტია იმ კურსებში, რომლებსაც მეტი საკონტაქტო დრო სჭირდება, ხოლო ნაკლებია დამოუკიდებელ სამუშაოებზე ორიენტირებული კურსებში.

მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზმა აჩვენა, რომ ლიტერატურა შეირჩა დარგის სიახლეების გათვალისწინებით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გააკეთა კონკრეტული კომენტარი სავალდებულო ლიტერატურის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სილაბუსი მოიცავს ლექტორების მიერ ქართულ ენაზე მომზადებული ლექციების რეზიუმეებსა და პრეზენტაციებს, სილაბუსების უმეტესობა (მაგალითად, გათბობის, ვენტილაციისა, კონდიცირებისა და კანალიზაციის (HVAC) სისტემები, ელექტროსქემები, სითბოს გადაცემის პრინციპები, თერმოდინამიკა, ჰიდრავლიკა, მასალების მეცნიერება, სითხეების მექანიკა და ა.შ.) მთავარ სახელმძღვანელოებს ისევ ინგლისურ ენაზე გვთავაზობენ, რაც, ჯგუფის აზრით, სწავლის დასაწყისში შესაძლოა პრობლემა გახდეს ახლად ჩარიცხული სტუდენტებისთვის, ინგლისურის ენის კომპეტენციის სიმცირის გამო. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ამ მხრივ, მოცემულ ეტაპზე, ვერ ხედავს რაიმე პრობლემას, რადგან უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთა უმრავლესობა თავისუფლად ფლობს ინგლისურ ენას. გარდა ამისა, თუ სტუდენტს არ აქვს ინგლისური ენის საკმარისი ცოდნა, უნივერსიტეტი მას დამატებით, უფასოდ სთავაზობს ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს (B1, B1-2, B2-1, B2-2).

ამასთან დაკავშირებით, ვიზიტის დროს ადმინისტრაციამ ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა სტატისტიკური მონაცემები, რამაც ასევე დაადასტურა, რომ ახლად ჩარიცხულთა/ პირველკურსელთა უმეტესობას ნამდვილად აქვს ინგლისური ენის სათანადო ცოდნა.

კრედიტი არის სტუდენტის დატვირთვის გაზომვის საშუალება, რადგანაც ემყარება

მოცემული სწავლების/სასწავლო ერთეულის დასრულებისათვის საჭირო დროს. ECTS კრედიტები წარმოადგენს სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაო საათების რაოდენობას (ტიპური სტუდენტისათვის), რომელიც საჭიროა მოცემული სწავლის შედეგების მისაღწევად (მოცემულ დონეზე), ამიტომ პროგრამისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ კრედიტები გადანაწილდეს ლოგიკურად და გონივრულად, იმის გათვალისწინებით, თუ რა დატვირთვა ექნებათ სტუდენტებს რეალურად.
სამუშაო დატვირთვის გამოთვლისას გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები: ერთი კურსის საკონტაქტო საათების ჯამური რაოდენობა (კვირაში საათების რაოდენობა x კვირების რაოდენობა), მომზადება ლექციებამდე და დასკვნების გაკეთება ლექციაზე/სემინარზე დასწრების შემდეგ, კურსის წარმატებით დასრულებისთვის საჭირო დამოუკიდებელი სამუშაოს მოცულობა. ბოლო პუნქტი არის სპეციფიკური ამ დისციპლინისთვის და დიდწილად დამოკიდებულია თემის სირთულეზე. დამოუკიდებელი სამუშაო მოიცავს შემდეგს: შესაბამისი მასალის შეგროვება და შერჩევა, ამ მასალის წაკითხვა და შესწავლა, ზეპირი ან წერილობითი გამოცდისთვის მომზადება, ნაშრომის ან დისერტაციის წერა და დამოუკიდებლად მუშაობა ლაბორატორიაში. ცხადად ჩანს, რომ დამოუკიდებელი მუშაობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კურსის დაძლევის პროცესში, ამიტომ სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა გასაგები უნდა იყოს ყველა სტუდენტისათვის, რათა მათ წარმატებით შეასრულონ აღნიშნულ სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა დამოუკიდებელი საქმიანობა.
აქ მოცემულია რამდენიმე კურსი, სადაც ნათლად ჩანს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების თანაფარდობა:
ECTS კრედიტი 5 (140 საათი) - სითბოს გადაცემის პრინციპები, სითხეების მექანიკა, თერმოდინამიკა საკონტაქტო საათები - 47 საათი; დამოუკიდებელი სამუშაო - 93 საათი.
ECTS კრედიტი 6 (168 სთ.) - საინჟინრო მექანიკა (სტატიკა და დინამიკა)
საკონტაქტო საათები - 47 სთ .; დამოუკიდებელი სამუშაო - 116 სთ.
იმის გათვალისწინებით, რომ BSE პროგრამის სწავლების ენა ქართულია და ინგლისურ ენაში მინიმალური კომპეტენციის დონე არ არის მიღების მოთხოვნებს შორის, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის მნიშვნელოვნების გამო, ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ სტუდენტებს უნდა მიეწოდოთსწავლების/სწავლის შესაბამისი მასალები ქართულად. აქედან გამომდინარე, ამ კურსებისთვის აუცილებელია წიგნების რიდერების ან სინოპსისის ქართულ ენაზე მომზადება.

ტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო გეგმა
- სემესტრული გეგმა
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას.

რეკომენდაციები:

- ამ კურსებისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს სასწავლო მასალების ქართულ ენაზე მიწოდება, რადგან სტუდენტების დამოუკიდებელი სამუშაო დიდი მოცულობით არის

გათვალისწინებული.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კურსები ითვალისწინებს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს, რათა განავითაროს სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარები, სასწავლო პროგრამის შედეგების შესაბამისად. პროგრამა ასევე შეიცავს საგანმანათლებლო კურსების ცალკეულ ერთობლიობას პრაქტიკული უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად, მაგალითად: „საველე პრაქტიკა“ და ,,სამუშაო ტრენინგი ინჟინერიაში“, რომლებიც დაგეგმილია სწავლის შედეგების შესაბამისად და მორგებულია თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ კვლევით ინტერესს. პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები არის სისტემატური და კარგად ინტეგრირებული სხვადასხვა კურსების გამოყენებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურსების: ,,შენობის ინჟინერიის პროექტები” - მცირე პროექტი, კონცეფცია, საბოლოო პროექტი - წყალობით, სტუდენტები ჩაერთვებიან პროექტის განხორციელების რეალურ პროცესში, ისწავლიან მიღებული სპეციფიკური გამოცდილების გამოყენებას ცოდნის სხვა სფეროებში და მის მორგებას სხვა სიტუაციებზე, გამოიყენებენ ახალ ტექნოლოგიებს და საწყის კონცეფციებს სხვადასხვა დისციპლინებიდან. წარმოდგენილ სასწავლო პროგრამაში, დავალებები კარგად არის დაკავშირებული სტუდენტების ძირითად ცოდნასთან, აქვს შესაბამისი მოთხოვნები და ინტეგრირებულია

აზრობრივ შინაარსთან, რაც ხელს უწყობს ახალი კომპეტენციებისა და ცოდნის შეძენასა და გაუმჯობესებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სილაბუსები ○ სასწავლო გეგმა ○ ვიზიტი ლაბორატორიებში ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ არის მითითებული
შეფასება **Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.5 სწავლებისა და სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროგრამაში მოცემული სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები მოიცავს შემდეგს: სწავლების ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები/დებატები, ანალიზის მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, ახსნითი მეთოდი, სადემონსტრაციო მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, პრაქტიკული მეცადინეობები, მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და ა.შ.

გამოყენებული მეთოდები და ფორმები მიღებულია კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებიდან. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფენ მათ მიღწევას. ამასთან, პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია სტუდენტების მრავალფეროვნებაზე და ინდივიდუალობაზე ყურადღების გამახვილება, შესაბამისად, ეს ყველა სტუდენტისთვის ქმნის ხელსაყრელ პირობებს თითოეულ აქტივობაში, თანასწორი და აქტიური მონაწილეობისთვის. და ბოლოს, თანაზიარი და ინდივიდუალური სასწავლო შესაძლებლობები გარანტირებულია ყველა სტუდენტისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

არ არის მითითებული

შეფასება

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალია, ექსპერტთა ჯგუფი განხილვის პროცესში ემყარებოდა რეგულაციებსა და პროცედურებს სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებით, სტუდენტებთან გასაუბრებებს და სხვა საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთან ინტერვიუებს.

უნივერსიტეტს სტუდენტებისთვის აქვს მარეგულირებელი შეფასების სისტემა, რომელიც გამჭვირვალე და სამართლიანია ყველა სტუდენტისთვის და შეესაბამება კანონმდებლობას. სტუდენტთა შეფასება რეგულირდება საბაკალავრო პროგრამის დებულებით. იგი ატვირთულია ვებ-გვერდზე და, ამდენად, ხელმისაწვდომია ყველასთვის. ამასთან, უნივერსიტეტს მიღებული აქვს ზომები სტუდენტების კომპეტენციის განვითარების შესამოწმებლად და შეფასება ხდება მათი მუშაობის გამაუმჯობესებელ ფორმატში. უფრო კონკრეტულად კი, შეფასება მრავალკომპონენტიანია და უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებითა და რუბრიკით. შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემის გამოყენებით. ქულების განაწილება და განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად:

- ფრიადი - შეფასება 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასება 81-90 ქულამდე;
- კარგი - მაქსიმალური შეფასება 71-80 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასება 61-70 ქულა;
- ჩააბარა -მაქსიმალური შეფასება 51-60 ქულა;
- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასება 41-50 ქულა; ეს ნიშნავს, რომ სტუდენტს სჭირდება მეტი მუშაობა საგნის ჩასაბარებლად და ეძლევა კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომ ჩააბაროს დამატებითი გამოცდა, დამოუკიდებლად მუშაობის შემდეგ;
- ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 და ნაკლები. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი. შეფასების მთავარი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის კომპონენტებში/კურსში, განსაზღვრულია სილაბუსების შეფასების ნაწილში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები ○ საბაკალავრო პროგრამის განხორციელება ○ თთუ-ს ვებ-გვერდი ○ თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ არის მითითებული
შეფასება **Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

იმის გამო, რომ BSE-ს პროგრამა ახალია და ჯერ არ არიან ახლად ჩარიცხული სტუდენტები, ჩვენ შევხვდით სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს არქიტექტურისა და ელექტრონული ინჟინერიის პროგრამებიდან. ადგილზე ვიზიტის დროს პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ სტუდენტებისთვის ხორციელდებაშესაბამისი ინდივიდუალური კონსულტაციები და უზრუნველყოფილია დამხმარე სერვისები. სტუდენტებს აქვთ მხარდაჭერა კარიერის დაგეგმვაში და საკუთარი მიღწევის კარიერული წინსვლისთვის გამოყენებაში. ნებისმიერ დროს, ყველა სტუდენტსა და კურსდამთავრებულს შეუძლია დაუკავშირდეს პროგრამის ხელმძღვანელსა და კოორდინატორს. მთელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ინდივიდუალურ კონსულტაციას უწევს სტუდენტებს კურსებთან დაკავშირებით.

არსებობს საზღვარგარეთის სასწავლებლებში მობილობის შესაძლებლობები, თუმცა მათ ძალიან ცოტა სტუდენტი იყენებს. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს, რომ მიიღონ მონაწილეობა კონფერენციებში. ბევრ გამოკითხულ სტუდენტსა და კურსდამთავრებულს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული კვლევით კონფერენციებში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოლოდინების მიხედვით, BSE პროგრამის კურსდამთავრებულები იქნებიან კონკურენტუნარიანი პროფესიონალები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამავე დროს, სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას შევიტყვეთ, რომ მათ არ აქვთ საერთაშორისო მობილობის გამოცდილება. არადა, ეს გამოცდილება ნამდვილად მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მუშაობისთვის.

ცხადად ჩანს, რომ შენობის სისტემების ინჟინერიის სტუდენტებს სჭირდებათ უფრო მეტი ხელშეწყობა საერთაშორისო მობილობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- უფრო მეტად უნდა შეეწყოს ხელი სტუდენტების საერთაშორისო მობილობას

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ არის მითითებული
შეფასება **Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ სადისერტაციო ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები. **ეს თავი არ ეხება წინამდებარე ანგარიშს**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უნდა იყოს ადეკვატური. ამრიგად, უნივერსიტეტმა შეიმუშავა პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდიკა, რომელსაც ეძღვნება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა (მუხლი 8.5). თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის განხორციელებას, რაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამებით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სწორად შესრულებითა და ფუნქციონირებით. აკრედიტაციის ვიზიტის დროს აკადემიურმა, სამეცნიერო და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს აკადემიურ პერსონალს და გეგმავს მათი პროფესიული განვითარების აქტივობებს. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას, პერსონალურადა ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. პროფესორები, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური ადმინისტრაცია, ასევე სხვა შიდა და გარე პერსონალი განიხილავენ და ეთანხმებიან უნივერსიტეტის, ასევე პროგრამის მიზნებსა და მათი მიღწევის გზებს. პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობასთან (წელიწადში 30 სტუდენტი). პროგრამის პერსონალის რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული თანამშრომლების ჩათვლით) იქნება 55. აქედან: • პროფესორი - 12 • ასოცირებული პროფესორი - 5 • პროფესორის ასისტენტი - 3

- მოწვეული პერსონალი -34

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და კომპეტენცია დასტურდება მათი სამეცნიერო ნაშრომებით, შემოქმედებითი და პრაქტიკული პროექტებით, რომლებიც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. აკადემიური თანამდებობის (როგორც აკადემიური, ისე მოწვეული) დაკავებამდე, პერსონალის კვალიფიკაცია მოწმდება არა მხოლოდ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, არამედ გასაუბრებით/სადემონსტრაციო ლექციით.

ექსპერტთა ჯგუფმა სიღრმისეულად არ შეაფასა აკადემიური, კვლევითი და მოწვეული პერსონალის ჩართულობის დონე სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში, როგორც მტკიცებულება, რომ ისინი ჩართულები არიან სფეროში მიმდინარე პროცესებში, აქვთ მიღწევები და/ან მონაწილეობას იღებენ რეპროდუქციულობაში (ან ახალი ცოდნის შექმნაში). ეჭვგარეშეა, რომ უნივერსიტეტს აქვს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელშეწყობის პოლიტიკა, რომელიც ფინანსურად გამართულია და უნივერსიტეტის აკადემიურ-სამეცნიერო პერსონალს საშუალებას აძლევს ჩაერთოს კვლევაში, სამეცნიერო კონფერენციებში და სხვა. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი ზოგადი საუნივერსიტეტო მონაცემების საფუძველზე, ჩვენ არ შეგვიძლია დეტალურად განვიხილოთ BSE-ს პროგრამაში ჩართული პერსონალის კვლევითი საქმიანობა. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის დონეზე შექმნას აკადემიური-კვლევითი პერსონალის შესახებ მონაცემები და ატვირთოს იგი ვებ-საიტზე.

მომავალ სტუდენტებს მოემსახურება ადეკვატური რაოდენობის (26) და კომპეტენტური ადმინისტრაციული პერსონალი. ყოველდღიური უკუკავშირითადა შესაბამისი ყურადღებით, მათ შეეძლებათ გაითვალისწინონ სტუდენტების საჭიროებები და ინტერესები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ეფექტური იქნება სტუდენტებს ჰყავდეთ დეკანი, რომელიც სწრაფად რეაგირებს მათ შეტყობინებებზე, მზადაა მოკლე დროში შეხვდეს მათ, საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ადმინისტრაციას ან მათსხვა საშუალებებით უჭერს მხარს.

სხვა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ მათი ურთიერთობაადმინისტრაციასთან არის პირდაპირი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები
- შრომითი ხელშეკრულებები
- უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა (ქვეთავი 8.5.)
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

არ არის მითითებული

შეფასება

Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ აკადემიური პერსონალისა და მეცნიერთა წლიური საქმიანობის შედეგების მონიტორინგს ახორციელებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი, რომელიც გეგმავს ღონისძიებებს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ეს სამსახური ზრუნავს სწავლების პროცესის სისუსტეების გამოსწორებაზე და ამ მიზნით, სემესტრულადახორციელებსშეხვედრებსა და ტრენინგებს აკადემიურ პერსონალთან. ის ასევე ატარებს სასწავლო და საორიენტაციო სესიებს ახლადარჩეული აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის სილაბუსის შემუშავების, სწავლების თანამედროვე მიდგომებისა (მაგალითად, მუდლის პლატფორმა) და შეფასების მეთოდების შესახებ საუნივერსიტეტო სივრცეში, მათი ინტეგრაციის გასაადვილებლად.
ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო სქემა მეცნიერის წლიური საქმიანობის შეფასებისთვის: ,,მეცნიერის პროდუქტიულობის შეფასება საპილოტე და სატესტო პროცესშია, რათა უზრუნველყოს მისი საქმიანობის შეფასება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში მიღწეული შედეგებისა და მოცემული ვადის მიხედვით"- წერია თვითშეფასების ანგარიშში.
აკადემიური პერსონალის დატვირთვა, გარდა სწავლებისა, მოიცავს სამეცნიერო კვლევებს, სხვა სამუშაოებს საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურასა და სივრცეში, გრანტებს, სტატიების გამოქვეყნებას ,,იმფექთ ფექთორის" ჟურნალებში, წიგნების, სახელმძღვანელოებისა, მონოგრაფიებისგამოცემასა და დოქტორანტების ხელმძღვანელობას.
ტრენინგებისა და სემინარების გარდა, თავისუფალი უნივერსიტეტი ხელს უწყობს თავის აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მაგალითად, საერთაშორისო კონფერენციის თანადაფინანსებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის პირადი საქმეები ○ ინტერვიუები პერსონალთან ○ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის გეგმა და სტრატეგიული მიმოხილვა
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ არის მითითებული
შეფასება **Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსის შენობაში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მიღებისათვის საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით. ექსპერტების აზრით, სტუდიები და საკლასო ოთახები, ისევე როგორც უნივერსიტეტის ამჟამინდელი შენობის ნაწილები, სადაც განხორციელდება ახალი პროგრამა (აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კაფეტერია და ა.შ.), ზოგადად მზად არის მოემსახუროს ,,შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო პროგრამას უახლოეს მომავალში. სამშენებლო სისტემების სწავლება მოითხოვს საკმაოდ სპეციფიკურ ლაბორატორიებსა და სტენდებს არა მხოლოდ გათბობის, ვენტილაციის, კონდიცირებისა და კანალიზაციის (HVAC), ასევე წყლის სისტემებისთვის, არამედ შიდა განათებისა და ხმის შესწავლისთვის. შესაძლებელია, რამდენიმე მოწყობილობის შეძენა, ამ სექტორში მომუშავე კომპანიებთან

პარტნიორობით, მაგრამ ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული, თუ როგორ იქნება სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობები. პროგრამას ეძლევა შესაბამისი საბიბლიოთეკო, მატერიალური, ტექნიკური და ფინანსური რესურსები. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ადასტურებს, რომ ბიბლიოთეკა ყოველთვის მზად არის შეიძინოს განსაზღვრული და ნებისმიერი სხვა საჭირო ლიტერატურა. ინტერვიუში გამოკითხულ სტუდენტთა თქმით, ბიბლიოთეკა აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს. იმავე კვლევის თანახმად, კამპუსის ტერიტორიაზე WI-FI ტექნოლოგია ისეა დამონტაჟებული, რომ უზრუნველყოფს ინტერნეტთან დაკავშირებას მომხმარებლების შესაბამისი რაოდენობისთვის თითოეულ კლასში და ხელმისაწვდომია ,,ელსევიერის" საერთაშორისო ელექტრონულ ბაზაში. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აღიარებს ტექნიკური ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლების საჭიროებას და ყოველწლიურად ცდილობს ამის ადმინისტრირებას. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ინდივიდუალურ და უწყვეტ ტრენინგ კურსებს სთავაზობს სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ სპეციალური საჭიროებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიბლიოთეკა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები ○ თთუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა კვლევის შედეგები ○ გასაუბრებების შედეგები
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: • შენობის სისტემების ინჟინერიის (BSE) სწავლების საკმაოდ სპეციფიკური ხასიათის გამო, მის ხელშესაწყობად საჭიროა სპეციალიზებული ლაბორატორიები და სტენდები. ეს შექმნის თანამშრომლობის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იმ კომპანიებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სისტემებს ბაზარზე.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ არის მითითებული
შეფასება **Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც ,,შენობის სისტემების ინჟინერიის" პროგრამის თვითშეფასების ანგარიში აჩვენებს, თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამებს არ აქვთ დამოუკიდებელი ბიუჯეტები. უნივერსიტეტის ფინანსური მოდელი აერთიანებს ყველა პროგრამისა და ადმინისტრაციული ერთეულის ბიუჯეტს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიში, „შენობის სისტემების ინჟინერიის“ პროგრამის ფინანსური ნაწილის ჩათვლით, ამტკიცებს, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადი იქნება. პროგრამას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა უსდ-ს მისიისა და მიზნების მისაღწევად და უნივერსიტეტის მიერ სუბსიდირებულია. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ძირითადი ფინანსური წყარო არის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების სწავლის საფასურიდან მიღებული დაფინანსება (მთლიანი შემოსავლის 89,8%). • სტუდენტთა გადასახადები - 63% • სახელმწიფო საგანმანათლებლო გრანტები - 37% • სოციალური გრანტები - 0% • სხვა დაფინანსება-0% თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს ასევე აქვს გრანტები სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად (მთლიანი შემოსავლის 2,7%), საერთაშორისო გრანტები კონკრეტული პროექტებისთვის (მთლიანი შემოსავლის 3,4%) და შემოსავლები სხვადასხვა სასერტიფიკატო პროგრამებიდან (მთლიანი შემოსავლის 4,1%). თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი გეგმავს ყოველწლიური ხარჯების მინიმუმ 10% მოახმაროს კვლევების დაფინანსებას. აქედან 5% უნდა იყოს უნივერსიტეტის გარე დაფინანსებიდან, ხოლო მინიმუმ 5% - შიდა დაფინანსებიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიუჯეტი ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ გასაუბრებების შედეგები
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ არის მითითებული

შეფასება **Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინსტიტუციონალურ დონეზე შეიქმნა ხარისხისშიდა უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ხელს უწყობსხარისხის გაუმჯობესებას პროგრამულ დონეზე. თვითშეფასების ანგარიში (ნაწილი 5.1) აჩვენებს, რომ უნივერსიტეტის ხარისხის შიდაუზრუნველყოფა შეესაბამება PDCA ციკლის პრინციპს (დაგეგმვა, გაკეთება, შემოწმება, მოქმედება). ეს კი ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებას. იგი ასევე ასახავს ღონისძიებების თანმიმდევრობას ხარისხის შიდაუზრუნველყოფის პროცესში, მათ შორის, პროგრამის კოორდინატორის მიერ პროგრამის ანგარიშის მომზადებას და მის წარდგენას ფაკულტეტის საბჭოსთვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასწავლო გეგმის გამოყენების უფრო მეტად განვითარება ქმნის ამ მეხუთე სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლის მეტ შესაძლებლობას, გუნდს აძლევსსაშუალებას უზრუნველყოს გამჭვირვალობა სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის. პროგრამაში ასახულია ბალანსი და თანმიმდევრულობა, სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომების ეფექტიანობა და ძირითადი ინსტიტუციური პრიორიტეტების უზრუნველყოფა. პროგრამის მიმდინარე განხილვაში „კონსტრუქციული შესაბამისობის“ დაცვა, შეიძლება გუნდს დაეხმაროს იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად აქტიურად უნდა იყვნენ სტუდენტები ჩართულები სასწავლო პროცესში. მეორე ელემენტი, „შესაბამისობა“ გულისხმობს შესაბამისობას ან თანხვედრას დასახულ სასწავლო მიზნებს, სწავლებისა და სწავლის აქტივობებს და შეფასების დავალებებს (რომლებიც ამოწმებს, მიღწეულია თუ არა სასურველი შედეგები) შორის.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წელიწადში ორჯერ ატარებს კვლევას სტუდენტების კმაყოფილების შესახებ. ამასთან, რადგანაც პროგრამის თანამშრომლები და ხარისხის შიდაუზრუნველყოფის სამსახური ერთმანეთთან კარგად თანამშრომლობენ, არსებობს პოტენციალი, რომ უფრო მეტად ამაღლდეს კრიტიკული ასახვის დონე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრებების შედეგები
- კრიტერიუმები
- ჩართული მხარეების ანგარიშები

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

არ არის მითითებული

შეფასება **Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.2 გარე ხარისხის უზრუნველყოფა
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტმა დანერგა რეგულარული უკუკავშირის გამოყენების პრაქტიკა, ყოველდღიური საქმიანობის სფეროში. შესაბამისად, ექსპერტების ჯგუფი დარწმუნებულია, რომ ხარისხის შეფასების ეს სისტემა გამოყენებული იქნება BSE-ს პროგრამისთვისაც. თთუ-ს საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს ხარისხის გარე შეფასების მექანიზმს, რომელიც ემყარება „საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის რეგულაციას“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას“. საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე შეფასების შედეგებს (კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვა, საგანმანათლებლო პროგრამების გარე შემოწმება და ა.შ.), განიხილავს და იღებს რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. აგრეთვე, ვიზიტის დროს ჩვენ შევამოწმეთ გარკვეული საკითხები და დავადასტურეთ ინფორმაციის სანდოობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o გასაუბრებების შედეგები o სამიზნე ნიშნულები o ჩართული მხარეების ანგარიშები
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

არ არის მითითებული
შეფასება **Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თთუ-ში პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება ყველა პროგრამის გასაუმჯობესებლად. მონიტორინგის ფარგლებში, პროგრამის შესაფასებლად და გასავითარებლად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც ითვალისწინებს სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდებზე დაკვირვებასა და შედეგების ანალიზს. წლების განმავლობაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის შესაფასებლად ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას, რომლის ანალიზიც წარმოადგენს რეკომენდაციების ჩამოყალიბების საფუძველს. კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა ტარდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. შეფასების მექანიზმი სისტემატურად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზეც ვითარდება პროგრამა. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მონიტორინგის დაგეგმვა, შემუშავება, ეფექტიანი განხორციელება და მხარდაჭერა კოორდინირებულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. აგრეთვე, ვიზიტის დროს ჩვენ შევამოწმეთ გარკვეული საკითხები და დავადასტურეთ ინფორმაციის სანდოობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გასაუბრებების შედეგები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ შეფასების შედეგები
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ არის მითითებული
შეფასება **Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (თთუ)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

შენობის სისტემების ინჟინერია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 28

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება		X		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა